ახალი გზა

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

29-31 დეკემბერი 2015 წელი №24 №8106 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.



2016 წელს ჩვენი გზეთის ცვიფბილოდ 85-ე წელია. თუ ოლობთ ცვინცდერდეთ ❄ ლა მნიშვნელოვან მაცვლაც გზეთის ინცდორიალან გამოგვიმეორეთ.

❄ ❄ ❄

85-ე წელია ჩვენი გზეთი იწერს, ვგრეოვებს, ინახავს რეალობის ინცდორიას, ხვრეს ვრ ოხლის ოვითელ ჭრიალს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეოლოამზეზელ მაცდანის ... გამოიწერეთ "ახალი გზა" ლა გახლით ჩვენი მეითხელი

"ყველამ მოვინანიოთ წარსული წლის შეცოდებანი და ახალ წელს მივეგებოთ ახალი ძალითა და მხნეობით. გულწრფელად და ღრმად ჩავიჭედოთ გულში ეს მცნება: სადაც ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლითა და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამე. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი და ჩვენ საკუთარ შინაურ საქმესაც ნავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით."

"ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოიქუდოთ და ამ ნინდებულს ახალს წელინდს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთადერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ მხნე იყავ და განძლიერდი! – ეი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნაცვრა."

ტფილისი, 31 დეკემბერი,1898 წ.

ილია ჭავჭავაძე

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ჩემო თანამოქალაქენო, ძვირფასო ყასბელებო, ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად გილოცავთ ჯანმომდგარ, ახალი 2016 წლის მობრძანებას. რა თქმა უნდა, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მხნეობასა და მზეგრძელობას. მშვიდობიანი, ბედნიერი ახალი წელი დაგვდგომოდეს, დაგილოცავთ ოჯახებს. წარმატებები, სიყეთე და სიხარული დაგვბედებოდეს.

ვისურვებდი, რომ ამ ახალ წელს მოეტანოს სულიერი სიმშვიდე, უყეთ გვესწავლოს ერთმანეთის სიყვარული, პატივისცემა, თანადგომა.

მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს დაგასწროთ გამჩენმა თავისუფალ და გამთლიანებულ საქართველოში, რა თქმა უნდა, თქვენს უსაყვარლეს მინაგრთან ერთად.

ღმერთმა იხეიმოს ყველა ოჯახში დამყვიდრდეს სიხარული და ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა.

ბედნიერი შობა-ახალი წელი გასთენებოდეს ჩვენს მამულს, ჩვენს ოჯახებს, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ!

გორა გოჩიგაშვილი,
ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

„ალამიანი ჭკვეს იმ ჯვეფანს, რომელსაც მისი ცამშობლო ჭკია...„

ახალი და ძველი წლის გზაგასაყარი უნებლიედ გაფიქრებს განვლილის „მონაპოვარსა„ თუ მომავლის „სასურველ რეალობაზე".

და აი, "კიდევ ერთი ახალი წელიწადი, სადაც ბედი მდევარი იცვლის ცხენებს" - თქვა ახალი წლის მოლოდინში ბაირონმა.

"აი, გავიდა ეს წელიწადი,

და ამჟამადაც დავრჩი უცვლელი:

კვლავ იმას ვიცავ, რასაც ვიცავდი,

კვლავ თავგზას მიბნევს სუფთა ფურცელი." - ფიქრობდა ოთარ ჭილაძე.

ილია იკითხავდა "რა გითხრათ, რით გაგახაროთო?!

ამ რამდენიმე ხნის წინ ერთმა ქართველმა პოეტმა ქალბატონმა ბრძანა: "ქართველები ელვარედ ნიჭიერი ხალხი ვართო," როგორ გვინდა გვჯეროდეს ამ ნიჭიერების, ელვარების...

ასეა, ყველას თავისი სათქმელი აქვს, ყველა ნათქვამს კი თავისი კარგი გამგონე სჭირდება. ასეთი კი ხან არის და ხან არა ...

სამშობლოზე ფიქრის დროს ყოველთვის ფონად მესმის 9 აპრილის მიტინგის რბევის ხმა. ძალიან ხშირად მიფიქრია, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება იმ დღეს საკუთარი თავალით რომ არ გვენახა ეროვნული სულის ჩაკვლის იმპერიული გაბრძოლება, შევძლებდით კი ოდესმე ასე მივახლოვებოდით მამულისათვის დაღუპულთა სულის სიმაღლეს, საქართველოს მომავალზე ფიქრისას გავავლებდით ზღვარს პათეტიკასა და გონიერებას შორის, გადავიტანდით ქვეყნის ერთიანობისათვის დაღუპულ უახლოეს მეგობართა სიკვდილს, ვიქნებოდით ჩვენი ქართველებით ამაყი?

ჩვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოებას მრავალგზის წარედგინა განხორციელებული და დაგეგმილი სოციალური და ინფრასტრუქტურული სამუშაოების სტატისტიკა და დაწვრილებით ვისაუბრეთ აღნიშნული პროექტების შესახებ.

საზოგადოებას წარედგინა ვიზუალური მასალა განხორციელებული ჯანდაცვის, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, გაგაცანით ჯანდაცვით თუ სოციალურ პროგრამებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ზრდის ტენდენციები... განვლილი წელი საინტერესო იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით. ქვეყნის საერთო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით - ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ვიზალიბერალიზაციის მეორე ფაზის წარმატება უკვე მიღებული კანონების აღსრულებაზეა დამოკიდებული.

საქართველოში ჩატარდა იბიარდისა და აბრეშუმის გზის გრანდიოზული ბიზნესფორუმები, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე მილიარდიანი და მრავალმილიონიანი ინფრასტრუქტურული პროექტები: ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტი - სამეგრელოში (იდება 900 მილიონი დოლარის ინვესტიცია), 280 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური „ნესკრაჰესი"- სვანეთში (1,2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია), ჰესების კასკადი მდინარე აჭარის წყალზე - მაღალმთიან აჭარაში (700 მილიონი დოლარის ინვესტიცია), ადგილობრივ ქვანახშირზე მომუშავე 150 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური - ტყიბულში (200 მილიონი დოლარის ინვესტიცია), რიკოთი-ზესტაფონისა და სამტრედია - გრიგოლეთის ავტობანები - იმერეთსა და გურიაში, თბილისის შემოვლითი რკინიგზა (300 მილიონი დოლარის ინვესტიცია), ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი (500 მილიონი ევროს ინვესტიცია), პანორამა თბილისი (500 მილიონი დოლარის ინვესტიცია) და ა.შ. მიუხედავად დაგეგმილი თუ ჩატარებული სამუშაოებისა კვლავ უმუშევრობა რჩება ნომერ პირველ პრობლემად...

უცხო ქვეყნის მზეს შეფარებულო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, მას შემდეგ, რაც გაჩნდა სამუშაოდ წასული ქართველი ემიგრანტის სახელდება, მას შემდეგ, რაც ჩვენმა მეგობრებმა თუ მეზობლებმა ძააალიან მოგვანატრეს თავი და ჩვენს ცხოვრებას განსაკუთრებული სევდა შესძინეს, სხვა ფასი დაედო სამშობლოს სიყვარულს...

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ნებისმიერი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის რომ გეკითხათ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რისი გაკეთება შეგიძლიაო? კარგად მოგეხსენებათ, თავდადების უნაპირო ზღვარი (მედროვეები ნუ შემედავებიან!). ამ ყოვლისმომცველ ოცნებაზე შენდებოდა ქვეყნის განვითარების, აღორძინების, ამაღლების ყველა ოცნება. რამდენმა ღირსეულმა ქართველმა ჩაიტანა საფლავში ქვეყნის დამოუკიდებლობის ვერახდენილი ნატვრა.

ჩვენს პატარა სამშობლოში ყოველთვის ვფიქრობთ თქვენზე, და თქვენთან ერთად ველოდებით დროს, როცა გაბრწყინებულ საქართველოში ყველა ერთად შევხვდებით დღესასწაულებს, როცა მონატრების კი არა ერთად ყოფნის სიმშვიდე იქნება ჩვენი თანამგზავრი. ახდენილი იმედების წელი დაგვდგომოდეს!

სამოქალაქო, თუ ანექსიურ ომებში გამოწრთობილი შინაგანი სიმტკიცე, თაობიდან თაობაზე გადმოცემული სისხლში გამჯდარი პატიოსნება რეალისტურად ხატავს ჩვენი ყოფის შეულამაზებელ ამბავს. თუმცა, არსებობს საბაზრო ეკონომიკის მკაცრი სინამდვილე, სადაც არიან ადამიანები, რომელთაც ყოველდღიური საფიქრალი ცხრათავიანი დევივით ყოველცისმარე ახალი ჯადოსნური ძალით აბრუნებს რეალურ ცხოვრებაში; სადაც თენდება სარჩოსა და წამლის ფულზე ფიქრში, ღამდება ღმერთის და სიმართლის გაბრწყინების იმედით.

რთულად ისმინება, მაგრამ ნამდვილად ზუსტად გამოხატავს სათქმელს - რაოდენობრიობა იძენს თვისობრიობის ხარისხს; ე.ი. ბევრჯერ რომ მოიტყუე თავი, შენ თვითონ აირჩიე აუტსაიდერის უმოქმედო მდგომარეობა. იქნებ გვეჩვენება, ან გვიჭირს დაჯერება მაგრამ ფაქტია გაჩნდა "საზოგადოება" ფეისბუკით რომ იღებს განათლებას, პარალელურად გაჩნდნენ მცირედ განათლებული ფეისბუკ "ლიდერები" თვალში ნაცრის შეყრის პრინციპით რომ ცდილობენ ზემოქმედებას "ფრენდებზე." ხელოვნურად შექმნილი "ბურუსი" გეოგრაფიული ნოვაცია არ გახლავთ, სამწუხაროდ არც ვირტუალური სამყაროს წარმონაქმნია, ეს არის დრო, როცა ხვდები, რომ თვალებმა კარგა ხანია დაისწავლეს უმცირეს ნიუანსთა გარჩევა, გაქრა გაურკვეველი პირველი შთაბეჭდილების ხიბლი, სულ უფრო გაჭირდა თავის მოტყუება, თავად შიში გაქრა, რადგან დრომ უხალისოდ და თავისდაუნებურად გასცა გონიერების ათვლის წერტილი - მართლაც მოქმედება და მოქმედება ყოფილა ჩვენი ცხოვრების ძალისა და ღონის მომცემი, სხვა დანარჩენი ტყუილია.

კიდევ კარგი, ყოველთვის - დღესასწაულებზე თუ სადაგ დღეებში, გამარჯვებისა და დამარცხების, მწუხარებისა თუ სიხარულის, ავადმყოფობისა თუ კარგად ყოფნის მიღმა არსებობს სივრცე, სადაც ადამიანები ანგარების გარეშე ზრუნავენ ერთმანეთზე, უყვართ, აქვთ სიმართლის დანახვის უნარი და სამშობლოს სიყვარული მერკანტილურ კალაპოტში არ გამოუმწყვდევიათ, ჩოხა არ აცვიათ, მაგრამ ყველა იმ სიკეთეს ატარებენ, თაობიდან თაობაზე

*დასასრული 8გვ.

მიმდინარეობს დადიანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და მისმა მოადგილემ თეიმურაზ ხიზანაშვილმა ქალაქ კასპში დადიანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული, სადაც ამჟამად ტრასის აღდგენა - დამაგრება, საფეხმავლოების და კივუეტების მოწყობა მიმდინარეობს.

775774,55 ლარის ღირებულების სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ბლექსიგრუპი" აწარმოებს და სამუშაოზე ადგილობრივ მოსახლეობასაც ასაქმებს.

დადიანის ქუჩაზე, რომლის სიგრძე 902 გრძივი მეტრია, გასულ წელს საკანალიზაციო სისტემის ახალი მაგისტრალი მოეწყო. წელს დაიგება ასფალტი, მოეწყობა გარეგანათება და სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩის მაცხოვრებლები გადაადგილებას კომფორტულ, კეთილმოწყობილი ქუჩით შეძლებენ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.



სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა კასპში, სააკაძის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

დასრულებულია ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა. ამჟამად მშენებლები პოლიეთილენის საკანალიზაციო გოფრირებული მილით ინდივიდუალურ დაერთებებს და რ/ბეტონის მიმღები ჭების მონტაჟს ახორციელებენ.

მაგისტრალის სიგრძე 1120 გრძივი მეტრია და მის მოწყობას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მეოხი" ასრულებს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მასზე 440 870 ლარი იხარჯება.

- წელს დარჩენილი ქუჩების საკანალიზაციო სისტემის მოწყობის პროექტირება დავასრულეთ. შესაბამისად სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება - ვიდრე სისტემა მთლიანად არ დასრულდება. ჩვენი მიზანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაა - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ახალქალაქი - ნოსტე - მთიულთუბნის საავტომობილო გზა

15 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით რეაბილიტირებული ახალქალაქი - ნოსტე - მთიულთუბნის საავტომობილო გზის 5 700 გრძივი მეტრის მონაკვეთის - დასრულებული სამუშაოები მიმღებმა კომისიამ შეამოწმა.

ადგილზე იმყოფებოდნენ მიმღები კომისიის თავმჯდომარე და წევრები. რეაბილიტირებული გზის სრული მონაკვეთის დათვალიერებაში ასევე მონაწილეობდნენ სამუშაოების შემსრულებელი შპს "იბოლია"-ს და საზედამხედველო სამსახურის შპს ს/გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის წარმომადგენლები. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და ვადებში შესრულების საკითხი კომისიამ და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა დადებითად შეაფასეს - მშენებელმა სამუშაოები ვადაზე 4 თვით ადრე დაასრულა. თუმცა მცირედი ხარვეზები მაინც აღინიშნა, რომლის შესახებაც მიმღები კომისია - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს დამთავრებული სამუშაოების მიღების აქტს დასამტკიცებლად 28 დეკემბრამდე წარუდგენს.

ოკმის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია

სოფელ ოკამში საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი "მილენიუმი"-ს (ათასწლეულის გამოწვევა საქართველოში) პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

შენობას შეეცვლება სახურავი, კარ-ფანჯრები, გაილესება შიდა და გარე ინტერიერი, მოეწყობა ჭერი, იატაკი და სველი წერტილები, ჩატარდება შეღებვის სამუშაოები.

500 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის რეაბილიტაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დირექტორის ზვიად პაპიაშვილის განცხადებით, განახლებული სკოლა სასწავლო და სამუშაო პროცესის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ოკმის საჯარო სკოლაში 318 მოსწავლე, 37 პედაგოგი და ტექნიკური თანამშრომელი მუშაობს, ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ მშენებლები დანაპირებს შეასრულებენ და 2015-2016 სასწავლო წლის გამოსაშვებ გამოცდებს კეთილმოწყობილ შენობა-. . . . . .

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2016 წელი, საქართველოში ევროპული სახელმწიფოს წლად გამოაცხადა

რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი?

ევროკავშირის სივრცეში უვიზო მიმოსვლისთვის საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდგომ.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების მთავარი წინაპირობაა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება. სამოქმედო გეგმის შესრულებისა და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ევროკავშირის 539/2001 რეგულაციაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების გზით საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება.

ამჟამად საქართველო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის დასკვნით ფაზაშია.

რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი?

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია. ამ ქვეყნების ვიზის მისაღებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიმართონ შესაბამის საკონსულო სამსახურებს.

მოგზაურობა შესაძლებელია 90 დღის განმავლობაში. საქართველოს მოქალაქეებს შეეძლებათ ეს 90 დღე გადაანაწილონ და გამოიყენონ ის 180 დღის განმავლობაში, ან ერთიანად. ანუ, უვიზო მიმოსვლა გულისხმობს შემდეგ ფორმულას - 6 თვის განმავლობაში შენგენის ზონაში შეგიძლიათ იყოთ მხოლოდ 90 დღე.

მოგზაურობისათვის საჭიროა ბიომეტრიული პასპორტი, რომელსაც ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 6 თვე ექნება დარჩენილი. ამასთან მესაზღვრემ შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მაგალითად, უკან დასაბრუნებელი ბილეთი, სასტუმროს ჯავშანი, მოწვევა, ან თუ სამკურნალოდ მიდიხართ, კონკრეტული საავადმყოფოს დამადასტურებელი დოკუმენტი.

გისურვებთ კავკასიურ დღეგრძელობას

ქალბატონებო და ბატონებო, მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წლის დღესასწაული!

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს უფალი დაიფარავს და გზას გაუნათებს. დაგბედებოდეთ სიხარული და სიკეთე, ჯანმრთელობა და გამრავლება, მამულისა და რწმენის ერთგულება.

მზია ჩხეიძე,
ექიმი პედიატრი.

ჩემო თანარაიონელებო, ჩემო ძვირფასებო, მიიღეთ საუკუნოვანი ბერიკაცის დალოცვა... იხაროს თქვენი ოჯახების ფუძემ და ჭერმა, მშვიდობის, სიკეთის და ბედნიერების, ბარაქის მომტანი ყოფილიყოს ეს ახალი წელი. ღმერთმა გამრავლოთ და გაბედნიეროთ.

დიმიტრი ზადიშვილი, ას წელს გადაცილებული ომისა და შრომის ვეტერანი.



ჩემო ძვირფასო თანარაიონელებო დაე, ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობისა და ბედნიერების, სახარულის, სიკეთის მომტანი, გისურვებთ სულიერ სიმშვიდესა და მხნეობას, დღეგრძელობას, ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას.

ღმერთი გფარავდეთ!

რუსუდან მარიამიძე,
პედაგოგი.

სოციალურ დახმარებაზე გამოყოფილი თანხა მიზნობრივად იხარჯება

კასპის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარებაზე (20 მუხლის ფარგლებში) გამოყოფილი თანხა მიზნობრივად იხარჯება.

გამგეობაში შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია თითოეული ბენეფიციარის დახმარების შესახებ გადაწყვეტილებას, წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის განხილვის და საჭიროებიდან გამომდინარე იღებს.

ჩვენი მიზანია შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური დახმარება გავუწიოთ მოქალაქეებს. მიმდინარე წელს დახმარება 809 ბენეფიციარს გაეწია, რაზეც 260 000 ლარი დაიხარჯა.

დახმარება არამარტო სამედიცინო, არამედ ხანძრისა და სტიქიური მოვლენების, მიცვალებულთა სარიტუალო, 100 წლიანი მოხუცების, მრავალშვილიანი დედების, შშმ პირთა და სხვა მიმართულებითაც ხორციელდება, - აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ჯამბოლატ ქამხაძემ.

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პირველადი სამსახური

ქალაქ კასპში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების - 03-ის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

შენობას სახურავი მოთუთიებული ლითონის ფურცლით შეეცვალა, განახლდა ელექტრო გაყვანილობა, იცვლება ფანჯრები და კარებები, მიმდინარეობს კედლების ლესვის, იატაკის მოჭიმვის, ჭერის და ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება იატაკი და შეიღებება კედლები.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური - ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პირველადი სამსახურია, ამიტომ მისი კეთილმოწყობა და მედპერსონალისათვის საჭირო პირობები მეტად მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქალაქის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჭირო თანხა გამოყო - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

"ჰემოფილი, ციცოცხლეები!"

კასპის კულტურის ცენტრში გაიმართა გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილი მეთაურის, კასპის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნის დღე, მას დაბადებიდან 55 წელი შეუსრულდებოდა.

პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი 25 სექტემბერს, სოხუმის დაცვისას გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე. იგი ომის დაწყებიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე კასპის ბატალიონთან ერთად ცხელ წერტილებში იბრძოდა.

ღონისძიების დაწყებამდე ჩამოსული სტუმრები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, სამღვდელოების და საზოგადოების წარმომადგენლები ეწვივნენ გმირის მშობლიურ სოფელ ზემოხანდაკს, სადაც გვირგვინით შეამკეს ბიუსტი და საფლავი.



საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ მისი თანამებრძოლები, მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, ვეტერანთა სამსახურის უფროსი ირაკლი შიხიაშვილი, სამთავისი-კასპის ეპარქიის ეპისკოპოსი დამიანე, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი.

გარდაცვალების შემდეგ ტარიელ შარიფაშვილი ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

გამოფენა – განხილვა

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო კასპის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ჰერალდიკური სიმბოლოების გამოფენა – განხილვა. ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლები შესავალი სიტყვით გახსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა.

– სოფლების სიმბოლიკის შექმნის იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს გაჩნდა, მაშინ, როცა მუზეუმი სოფლებში სამეცნიერო ექსპედიციებს აწყობდა, – განმარტავს სიმბოლიკების პროექტის ავტორი, მხატვარი იორამ იმედაშვილი, – ამდენად, ამ თემაზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგად კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა ის ცნობილი ფაქტი, რომ ყოველ სოფელს მისთვის დამახასიათებელი წარმომავლობის ისტორია და ორიგინალური ატრიბუტიკა გააჩნია. ცხადია, სიმბოლიკის შექმნის პროცესში სწორედ ეს იყო ძირითადი სახელმძღვანელო და დღეს, როდესაც საქართველოს ჰერალდიკური სივრცის დაფარვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტია, ბუნებრივია, ჩვენი რაიონის სოფლების ლოგო-ემბლემა ყურადსაღები გახდა. გამოფენაზე წარმოდგენილი ორმოცზე მეტი ნამუშევარი უთუოდ დააინტერესებს სოფლების წარმომადგენლებს, ჰერალდიკის მცოდნე ადამიანებსა და სპეციალისტებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ისტორიკოსებსაც და რასაკვირველია, ბევრი კითხვაც გაჩნდება. არადა, ამ გამოფენის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, რომ მოხდეს პროექტის საჯარო განხილვა და დარწმუნებული ვარ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გახდეს თითოეული ემბლემა ჰერალდიკური დოკუმენტი.

ჰერალდიკური სიმბოლოების გამოფენა-განხილვას ესწრებოდნენ და აზრი გამოთქვეს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ილია ზაქარიაძემ, მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. გამოფენა-განხილვა დეკემბრის ბოლომდე გასტანს.

განუმეორებელი ანა
(ამონარიდი მოგონებიდან)

ქართულ მწერლობაში, მე-20-ე საუკუნემ, პოეტი და პროზაიკოსი ქალების ფერადოვანი თაიგული მოგვცა, მაგრამ, მათგან, მხოლოდ ერთს ხვდა ბედნიერება: - ცაში სწვდებოდეს ლაჟვარდებს... ეს მარტო ანა კალანდაძემ შეძლო და თანაც, როგორ,... ტიციანს რომ დავესესხოთ: მოვარდნილ მეწყერს ჰგავდა მისი შემოსვლა პოეზიაში, მოვიდა და თან მოიყოლა თვალმარგალიტი ლექსების ციმციმი, ელვარება და სურნელი. ის-ის იყო დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, გადაიარეს სისხლის წვიმებმა, მიწყდა ზარბაზნების ქუხილი, ცის გუმბათიდან აიკრიფნენ ფაშისტი სვავები და ძერები. სწორედ ამ დროს, ქართული პოეზიის ცის კაბადონზე, ცისკრის ვარსკვლავივით აკაშკაშდა ანა კალანდაძის სახელი. ეს არ იყო იოლი, მაშინ, როცა თბილისის ქუჩებში დააბიჯებდა პოეტების მეფე, - გალაკტიონი, დაწერილი იყო "მთაწმინდის მთვარე" და "მერი", ქართლსა და კახეთს უმღეროდა გიორგი ლეონიძე, თბილისს - იოსებ გრიშაშვილი... და, ასეთ დროს, ქართული ლექსის ბრწყინვალებით განებივრებული ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, უეცრად მოხეთქილმა ქალურმა პოეზიამ, არა მარტო მოხიბლა საქართველო, არამედ, გააოცა კიდეც.

ანა კალანდაძე არავის ჰგავდა, არავის ჰბაძავდა...

დიახ, უზადო და თავანკარაა ანა კალანდაძის პოეზია, ისეთივე მაღალი, როგორც ქართული ცა, ისეთივე წმინდა და ფაქიზი, როგორც თავად პოეტი ქალი, უბრალო, უკარება, რიდით სავსე, მიუწვდომელი და შემძლებელი. მას ყველგან იწვევდნენ, პატიჟებდნენ, გულთბილ შეხვედრებს უწყობდნენ. სტუმარ-მასპინძლობაში ეცილებოდნენ ქალაქები, რაიონები, სოფლები, დაწესებულებები, სასწავლებლები... და მიდიოდა პოეტი ქალი ყველგან, უშურველად, მოკრძალებით, თბილი გულით, ყოველგვარი ბრწყინვალების გარეშე, იმ ნაქანდაკარი სტრიქონებით, მამულს, მზეს, სიცოცხლეს და ადამიანურ ღირსებას რომ უმღერიან.

მისი ცხოვრების ყოველი საიუბილეო თარიღი დღესასწაულს ჰგავდა. ფართოდ აღინიშნა დაბადების 50-ე წლისთავი. ეს დღე კასპის რაიონულმა გაზეთმაც მიულოცა. დაიბეჭდა ჩემი წერილი პოეტი ქალის შუადღე და ანას საუკეთესო ლექსები ("განთიადი" 1975 წლის 8 მარტი).

კასპელებმა, ანა კალანდაძე, მოგვიანებით, 1982 წლის 10 დეკემბერს მოიწვიეს. მასპინძლობა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ითავეს. მოვუსმინოთ ამ სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ ციცი შალუტაშვილს: ზამთრის დასაწყისი იყო, მაგრამ შემოდგომის გამოყოლილი დარი იდგა, თბილი, უქარო...

ანა კალანდაძე კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმს ესტუმრა... შეხვედრა რაიკომის სხდომათა დარბაზში შედგა. რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად, მშრომელებიც გვეწვივნენ. მაშინვე გაიბა უხილავი ძაფი სტუმარ-მასპინძლებს შორის. ტექნიკუმის მოსწავლეები მსჯელობდნენ პოეტის შემოქმედებაზე, მისი ლექსების კითხვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს... მერე კი ტრიბუნა თვით პოეტ ქალს დაეთმო და იმდენჯერ დაგვატკბო მშვენიერი ლექსებით, რომ თავადვე გაუკვირდა და თქვა: ამდენი ლექსი არსად არ წამიკითხავსო... ("განთიადი", 8 მარტი, 1985 წ.).

ანა კალანდაძის დაბადების 60 წლისთავი ისე მოგვადგა კარზე, ვერ შევნიშნეთ.

რაიონული გაზეთის რედაქციამ, სადაც რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი, სპეციალური გვერდის მომზადება დამავალა. დახმარება კი ქალბატონმა ციცი შალუტაშვილმა და მისმა მეუღლემ, ცნობილმა მეცნიერმა და ლიტერატორმა, პროფესორმა (ანა კალანდაძის თანამშრომელმა ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში), გენადი ბურჭულაძემ გამიწიეს.

მალე, დასაბეჭდად გამზადებული მასალები სტამბაში გადავაგზავნეთ.

რაიონული გაზეთ "განთიადი"-ს 1985 წლის 8 მარტის ნომერი, სწორედ ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი მასალებით დატვირთული გამოვიდა და პოეტ ქალს, ამით, დაბადების იუბილეც მივულოცეთ და ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტიც...

გაზეთის ამ ნომერს, ჩემი ლექსი - წარწერა ანა კალანდაძის წიგნზე- დავურთე და პოეტ ქალს გავუგზავნეთ. შეხვედრები, რომლებიც წინ მელოდა, თავად ანა კალანდაძის სურვილითაც შედგა: მან ოჯახში მიმიპატიჟა,

ეს ყველაფერი კი სიზმარს ჰგავდა. მეც მივიღე პატიჟი და პოეტ ქალს ორჯერ ვესტუმრე, პირველად 1985 წლის შემოდგომის ერთ ცრიაგ საღამოს, მეორედ - 1986 წლის 3 თებერვალს, - ანაობაზე.

ბედნიერი წუთები იყო, ცხოვრების გზაზე გამყვა და მაშინაც კი არ დამტოვა, როცა დროის კატაკლიზმებმა გაუსაძლისი გახადა სიცოცხლე. ახლაც თვალწინ მიდგას ეს მარადიული ანაობა, რომელიც ასე გამორჩეულად უყვარდა პოეზიის დედოფალს და ყოველწლიურად, ისევე აღნიშნავდა, როგორც მის დაბადების დღეს, - 15 დეკემბერს.

სწორედ ერთ ასეთ ანაობაზე ვიყავი მიწვეული ანა კალანდაძის ოჯახში, 1986 წლის 3 თებერვალს. მივუყვები თბილისში, საბურთალოს ქუჩას და თან მიმაქვს გამოუცნობი მღელვარება და სიხარული. ვჩერდები სახლის კართან და ზარს ვრეკავ. ცოტა ხანში სახემღიმარი მანდილოსანი ოთახში მეპატიჟება: დაელოდეთ, ახლავე შემოვაო,- მითხრა და მომიბოდიშა,- სხვა სტუმრებსაც მივხედავო.

და ვარ, პოეტ ქალთან შეხვედრის მოლოდინში, ვათვალიერებ მის საცხოვრისს, მყუდრო, უბრალოებითა და ყვავილებით სავსე სავანეს. კედლებიდან მხატვრული ფერტილოები მიმზერენ... ვის არ უცდია პოეზიის დედოფლის იერსახის გადატანა ტილოზე, ყველა მხატვარს გამორჩეული ხელწერა აქვს და შესრულების მანერა. სურვილი კი ერთი: გადასცენ მნახველებს პოეტის სულის მღელვარება და განცდები...

მალე ანაც შემოდის, წინსაფარითა და საკმაზნარევი სურნელით. მესალმება, მადლობას მიხდის მილოცვისთვის, ხელს მხვევს და სამზარეულოში მივყევარ : - ვჩქარობო, - მეუბნება, - მალე სტუმრები მოვლენ და სუფრის გაშლა უნდა მოვასწროთო... ყველაფერს თავისი ხელით ამზადებს, ეხმარებიან ოჯახის წევრებიც, მაგრამ, სუფრას, მაინც, ქალბატონ ანას გემოვნებით აწყობენ...

- ეს ნუგეშა მაყაშვილია,- მაცნობს ანა სუფრასთან მოფუსფუსე ლამაზ ქალბატონს, - დიდი ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი და მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარის, კოტე გაბაშვილის ქალიშვილი, ჩემი უახლოესი მეგობარი. ნაბოლარა გოგონა მერე შეეძინათ მაყაშვილებს,- განაგრძობს საუბარს ანა, - როცა ტაბახმელასთან, ბოლშევიკებმა 1921 წლის 19 თებერვალს, მათი 19 წლის უმრწმესი ქალიშვილი, მარო იმსხვერპლეს. ახალშობილს ნუგეშა ამიტომ დაარქვეს. მისი დაბადება, მართლაც, დიდი ნუგეში იყო სამშობლოსთვის თავშეწირული მარო მაყაშვილის დაღუპვით დამწუხრებული ოჯახისთვის.

იუბილარ პოეტ ქალს მეგობრები ემატებიან. ოთახი ნაირფერი ყვავილებით ივსება. ენამზეობს ცნობილი მსახიობი, მხატვრული კითხვის დიდოსტატი, ულამაზესი თათია ხაინდრავა, რომელმაც თავისი ქალიშვილი მოიყოლა და მეგობრებს წარუდგინა, როგორც მომავალი მუსიკოსი.

ქართულ სუფრას თავისი ტრადიციები აქვს, უძველესი დროიდან მოსული და მას ყველა ემორჩილება, მცირერიცხოვანი იქნება იგი თუ პირიქით. ასე იყო ანა კალანდაძის ოჯახშიც...

ბულბული უჯდა ენაზე თამადას, ანას ლექსებით გვხიბლავდა დეკლამაციის დედოფალი, ქალბატონი თათია... იყო საუბრები მიწიერი და ზეციური... პოეტი ქალი იხსენებს კასპელებთან შეხვედრებს, ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან გატარებულ წუთებს, საუბრობს ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, პოეზიაზე, ცხოვრებისეულ საკითხებზე...

ყველაფერზე თავისებური შეხედულება აქვს, უნდა დაეთანხმო, რამეთუ, არის მასში გულწრფელობა და სიმართლე.

სარკმელთან ღამე ტყდება. ძნელია ასეთი საზეიმო წუთების წარსულში დატოვება, მაგრამ, ხომ არის რწმენა და იმედი... ცხოვრება გრძელდება, კიდევ მოვლენ 15 რიცხვიანი დეკემბრები და მარადიული ანაობაც.

დიახ, მოვლენ!...

ამ იმედით დავტოვე იმ ღამეს ანა კალანდაძის ოჯახი და თან გამოვიყოლე პოეტი ქალის მიერ ნაჩუქარი ფოტოსურათი, რომელსაც თავად წააწერა:

ნორა ედიშერაშვილს დიდი პატივისცემით, სიყვარულით ანა-საგან 3.II. 1986წ. თბილისი.

პოეზიის დედოფალს, პატივი და დაფასება სიცოცხლეშივე არ მოჰკლებია. ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო.

გაზაფხულის მომღერალმა და მზის მეხოტბემ, სწორედ, გაზაფხულზე, 2008 წლის 11 მარტს დატოვა სამშობლო, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეღაღადებდა: საქართველოო ლამაზო...

ქართველმა ხალხმა ბოლომდე მიადევნა პატივი და სიყვარული, სამუდამოდ მიუჩინა განსასვენებელი მთაწმინდაზე და დაავანა ილიას , აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვა დიდი მამულიშვილების სულის პარნასში ...

ალალმისი!..

ნორა ედიშერაშვილი, 2015 წელი.

სპორტული 2015

ჩვენი მინაგური

ბეგლარაშვილი რობინზონი (დაბადებულია 1998 წლის 6 აპრილს. ძიუდოისტი.)

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი "თბილისი-2015", ივლისი, I ადგილი (ძიუდო).

ბერძენიშვილი ბექა (დაბადებულია 1990 წლის 3 აგვისტოს. სამბისტი.)

საერთაშორისო ტურნირები: იანვარი (ყაზახეთი), I ადგილი; თებერვალი (ბელარუსი), II ადგილი; მსოფლიოს თასი: მარტი (ქ. მოსკოვი), II ადგილი; საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში: მაისი (შინდისი, გორი), III ადგილი; რესპუბლიკური ტურნირები: ივლისი (კავთისხევი, სამთავისი, ონი, კასპი), I ადგილი; არჩილ ჩოხელის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი: სექტემბერი (თბილისი), I ადგილი; მსოფლიო ჩემპიონატი: ნოემბერი (აფრიკა, მაროკო), III ადგილი; საქართველოს ფალავნობა – 2015: დეკემბერი (ქ. თბილისი), III ადგილი (მძიმე წონითი კატეგორია), აბსოლუტური პირველობა (უშედეგოდ).

*დასასრული გვ7.

ძველი რკინიგზელი

ბრძენ კაცს უთქვამს: "ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა მოჰკიდოს იმ საქმეს, რაც მისთვის შესაძლებელია, ხოლო ნამდვილი პატიოსნება ისაა, ყოველგვარ გარემოში გააკეთო ის, რაც ადამიანთა უმრავლესობას სარგებლობას მოუტანს". დიახ, გზას, რომელსაც ადამიანი ირჩევს ცხოვრებაში, მისი ბიოგრაფიის განმსაზღვრელი, უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხდება. ამ ადამიანური ჭეშმარიტების უტყუარობაში ერთი არაჩვეულებრივი კაცის, ძველი რკინიგზელის, ახალციხელი ალფეზ ბარნოვის შრომითი ბიოგრაფიის გაცნობაც დაგარწმუნებთ...

ოთხმოცი წლის წინ, 1935 წლის 10 დეკემბერს მოსამსახურის ოჯახში დაბადებული ალფეზ ბარნოვი და მისი უმცროსი ძმა ექვს წლამდე თბილისში იზრდებოდნენ, რადგან ქალაქშიც ჰქონდათ ბინა, მაგრამ მერე, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და მამა ფრონტზე გაიწვიეს, ოჯახი ისევ ახალციხეში დაბრუნდა. უმამოდ დარჩენილი ბიჭები დედასთან ერთად ნახევრად დაუმთავრებელ სახლში ცხოვრობდნენ.

— ომიდან გამოგზავნილ მამის სამკუთხა ბარათს დედა ხშირად გვიკითხავდა მე და ჩემს ძმას, — იხსენებს ბატონი ალფეზი, — მართალია, პატარა ვიყავი, მაგრამ დღემდე სულიერად მკვებავს მისი დარიგება, რჩევა, მეტსაც გეტყვით, მამის თხოვნა, გავფრთხილებოდი ოჯახის სახელსა და პატიოსნებას, მეზრუნა პატარა ძმაზე, ეს იყო მამის უკანასკნელი წერილი ჩვენს ოჯახში.

... ომის დამთავრების წელს დაამთავრა რვა კლასი, იმხანად ათწლედი კი იყო, მაგრამ ალფეზ ბარნოვმა მაინც თბილისის რკინიგზის ნომერ პირველ სასწავლებელში გადაწყვიტა სწავლა. ტექნიკუმი ორწლიანი იყო და ამზადებდნენ კადრებს ისეთი სამსახურებისათვის, რომელიც ჯერ არ იყო დანერგილი საქართველოში. წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა კიდეც სასწავლებელში "სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია, ბლოკირება" — სპეციალობის განხრით, სხვათა შორის, ამ განხრას დღეისათვის ეწოდება "ავტომატიკა, ტელემექანიკა, კავშირგაბმულობა". სასწავლებელი, რა თქმა უნდა, წარჩინებით დაამთავრა და რკინიგზის უფროსის მოთხოვნით ლენინგრადის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში მიავლინეს სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ოჯახურმა მდგომარეობამ სწავლაში ხელი შეუშალა და სასწავლებლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო. თავიდან ორი წელი გორში მუშაობდა თავის სპეციალობით, საჭირო გამოცდილებასა და პრაქტიკასაც დაეუფლა, მერე კი სავალდებულო სამხედრო სამსახურიც მოიხადა და ორმოცდაათიანი წლების ბოლოს რასაკვირველია, თავისი სპეციალობის მიხედვით საბოლოოდ ქართველ რკინიგზელებს შეუერთდა.

— სპეციალობით დავიწყე მუშაობა, ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა, თანაც კასპი-თბილისის უბანზე, — გვიამბობს ალფეზ ბარნოვი, — სადაც უკვე მოქმედებდა ისრების და სიგნალების ცენტრალიზაცია, მაშინ გადარბენები იყო ერთლიანდაგიანი და მატარებელთა გამტარუნარიანობა იყო ძალიან დაბალი. მოგვიანებით კი დაიწყო ორლიანდაგიანი გზის მშენებლობა და მშენებლობასთან ერთად დაიწყო ელექტრო ცენტრალიზაციისა და დისპეჩერული ცენტრალიზაციის დანერგვა. ამისათვის გავიარე ერთწლიანი კურსები, სადაც სათანადოდ დავეუფლე ახალ ტექნოლოგიას და მიღებულ ცოდნას უკვე ერგვისათვის მიმდინარე სამუშაო პროცესში. სპეციალობის შესასწავლად მასთან მოდიოდნენ დამწყები რკინიგზელები, რადგან მისგან მიღებული პრაქტიკა სასიგნალო წერტილებზე მომუშავე ახალბედებს დიდ დახმარებას უწევდა. ამიტომაც იყო, რომ ერთხანს ქვეყნის მასშტაბით რკინიგზაში ერთი უჩვეულო ლოზუნგიც კი გამოჩნდა "ვიმუშაოთ ბარნოვის მეთოდით" და ეს ეგრეთწოდებული მოწოდება ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე გაგრძელდა... იყო ისეთი წლებიც, როდესაც სპილენძის "მაძიებლები" თავს ესხმოდნენ რკინიგზის საველე მოწყობილობებს, ბევრგან გაიძარცვა საგულდაგულოდ დამონტაჟებული ცენტრალიზაციის პოსტები, ერთადერთი, სადაც უვნებლად გადარჩა მოწყობილობები, კასპი-თბილისის უბანი გახლდათ, ეს კი ალფეზ ბარნოვის დამსახურება იყო, რადგან იგი თავდაუზოგავად, ზოგჯერ დიდი რისკის ფასად ახდენდა მათ დაცვას... უამრავი წინააღმდეგობისა და სირთულის მიუხედავად მას უკან არასოდეს დაუხევია, დღემდე უერთგულა სამოცი წლის წინ არჩეულ გზას. რკინიგზის კასპი-თბილისის უბანზე დიდმაც და პატარამაც კარგად იცის მისი დამსახურება, როგორც ამბობენ ხოლმე ყველამ მის ხელში გაიარა და გამოცდილ, შორსმჭვრეტელ რკინიგზელს ხშირად ეკითხებიან რჩევა-დარიგებას. სწორედ მან დააკვალიანა ახლა უკვე ცნობილი რკინიგზელები ნოდარ ბალახაძე, შოთა გზირიშვილი და სხვები, რომლებიც ძალიან

პრაქტიკულად ვნერგავდით ჩემს უბანზე. ეს იყო სიახლე, ანუ ელექტრო ცენტრალიზაციის პოსტებს ვამონტაჟებდით მთელი საქართველოს მასშტაბით, სოხუმიდან სადახლომდე.

პროფესიონალი რკინიგზელი ალფეზ ბარნოვი თავის ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებდა, მხარში ედგა თანამშრომლებს, მას მონაწილეობა აქვს მიღებული თითქმის ყველა სასიგნალო წერტილზე ახალი ტექნოლოგიის დანერგვიდან ჩემს უბანზე. ეს იყო სიახლე, ანუ ელექტრო ცენტრალიზაციის პოსტებს ვამონტაჟებდით მთელი საქართველოს მასშტაბით, სოხუმიდან სადახლომდე.

ბიანი ალფეზ ბარნოვი, — ეს ეგრეთწოდებული მოწოდება ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე გაგრძელდა... იყო ისეთი წლებიც, რომლებიც ძალიან ემადლიერებიან ოსტატს.

შრომისა და დამსახურებისათვის ალფეზ ბარნოვს უამრავი ჯილდო, ქების სიგელი თუ წარჩინებულის მედალი აქვს მიღებული, მაგრამ უმთავრესი მაინც მისთვის ხალხის სიყვარულია, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე გრძნობს. მარტო კასპელი რკინიგზელები კი არა, საქართველოს რკინიგზის მესვეურებიც აფასებენ და პატივს სცემენ ამაგდარ რკინიგზელს. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ სწორედ ის ფაქტი, რომ სულ ახლახან, დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით ქვეყნის რკინიგზის მესვეურებმა ალფეზ ბარნოვს ზღაპრული წვეულება გაუმართეს, ერთად შეიკრიბნენ ძველი და ახალი თაობის რკინიგზელები და გულწრფელი მადლობა გადაუხადეს დამსახურებისათვის...

"საქმის სიყვარულმა და თავდადებულმა შრომამ თქვენ რჩეულ რკინიგზელთა რიგებში დაგიმკვიდრათ ადგილი. საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა ამაყობს თქვენი ერთგულებითა და პროფესიონალიზმით. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ თავდაუზოგავი შრომისათვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ, ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ", — ეს არის ამონარიდი მადლობის წერილიდან, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე.

დამსახურებულ რკინიგზელს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მილოცვის წერილი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

საერთო განწყობას უერთდება გაზეთი "ახალი განთიადი" და ამაგდარ რკინიგზელს საიუბილეო თარიღსა და შობა ახალ წელს ერთად ულოცავს, უსურვებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

სასწავლო შემეცნებითი კინო-კლუბი

„ასწავლე საქართველოსთვის"

შემეცნებითი ხასიათის, ძალიან საინტერესო პროექტი ხორციელდება წინარეხის საჯარო სკოლაში. იგი გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის და ამდენად, პროექტის ფარგლებში ჯერ კიდევ 2015 წლის ოქტომბერში დაფუძნდა სასწავლო შემეცნებითი კინოკლუბი სახელწოდებით "ასწავლე საქართველოსთვის", რომლის ინიციატორი გახლდათ პროექტის მონაწილე მასწავლებელი ნინო დათუკიშვილი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კლუბი არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფორმალურ განათლებაზე, მისი მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნის გაღრმავებას, მოსწავლეთა ზოგადი მსოფლმხედველობის განვითარებას. შემეცნებით კლუბში ნაჩვენები ფილმები და მათი გაანალიზება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებას, სასწავლო უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. კინოკლუბში აჩვენებენ როგორც დოკუმენტურ, ასევე ისტორიული ჟანრის ფილმებს.

ფილმის ნახვის შემდეგ თითოეული მოსწავლე ავსებს კითხვარს, აანალიზებს შინაარსს და ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, დაინტერესებას კონკრეტული ისტორიული თუ ბუნებრივი მოვლენის მიმართ. კინო ჩვენების შემდეგ რასაკვირველია, მოსწავლეები ახდენენ შევსებული კითხვარების პრეზენტაციას და ცხადია, აფიქსირებენ საკუთარ შთაბეჭდილებებს.

სპორტული 2015 ჩვენი მინაგვარი სპორტული 2015

*დასასრული.
დასაწყისი იხ გვ5.

გეჯაძე დავითი (დაბადებულია 1997 წლის 19 მაისს. ძიუდოისტი.)

საქართველოს პირველობა ძიუდოში (ახალგაზრდები) – თებერვალი, ქ. ყვარელი: II ადგილი;

საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში (1995-97 წლებში დაბადებულთა შორის) – მარტი, ქ. საგარეჯო: II ადგილი;

საქართველოს პირველობა სამბოში (ჭაბუკები) – მარტი, ქ. თბილისი: II ადგილი;

ენგურ გოგიჩაიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში (1996-97 წ.) – მაისი, ქ. გორი: II ადგილი;

კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – მაისი, ქ. ქუთაისი: II ადგილი;

რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივნისი, ქ. ხაშური: I ადგილი;

ძმები ნინიაშვილების სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივნისი, მეტეხი: I ადგილი;

ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, სამთავისი: II ადგილი;

გია ჯაფარიძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, ქ. ონი: III ადგილი;

ნელსონ სტეფანიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სამბოში – ივლისი, ქ. ერევანი: II ადგილი;

გიორგი მერებაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, ქ. კასპი: II ადგილი.

გუგულაშვილი რამაზი (დაბადებულია 1994 წლის პირველ ოქტომბერს. – სამბისტი.)

თამაზ გუგულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – მაისი, სოფ. მეტეხი: 1 ადგილი;

საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში – ივნისი, სოფ. შინდისი (გორი): 1 ადგილი;

ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, სოფ. სამთავისი: I ადგილი;

გიორგი მერებაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, ქ. კასპი: I ადგილი.

გუგულაშვილი გიორგი (დაბადებულია 1995 წლის 20 ოქტომბერს. ძიუდოისტი.)

საქართველოს პირველობა ძიუდოში (ახალგაზრდები) – თებერვალი, ქ. ყვარელი: II ადგილი;

ევროპის პირველობა ძიუდოში (ახალგაზრდები) – ქ. ვენა (ავსტრია): III ადგილი (გუნდური);

მსოფლიო პირველობა ძიუდოში (ახალგაზრდები) – ქ. აბუდაბი (არაბეთის საემიროები): II ადგილი (გუნდური);

ევროპის საკლუბო პირველობა ძიუდოში "თბილისი – 2015" – დეკემბერი, ქ. თბილისი: I ადგილი (გუნდური).

კაციაშვილი გიორგი (დაბადებულია 1996 წლის 21 აპრილს. ძიუდოისტი.)

საქართველოს პირველობა ძიუდოში (ახალგაზრდები) – თებერვალი, ქ. ყვარელი: I ადგილი;

კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – მაისი, ქ. ქუთაისი: II ადგილი;

საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში – ივნისი, სოფ. შინდისი (გორი) – I ადგილი;



რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, სოფ. ვაყა (ხაშური): II ადგილი;

ძმები ნინიაშვილების სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, სოფ. მეტეხი: I ადგილი;

ჭაბუკ ძიუდოისტთა პირველობა ევროპის თასზე – აგვისტო, ქ. ბერლინი (გერმანია): III ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში (ახალგაზრდები) – სექტემბერი, ქ. ობერვარტი (ავსტრია): III ადგილი პირად და გუნდურ ჩათვლაში;

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში (უფროსებში) – ოქტომბერი, ქ. თბილისი: II ადგილი;

საქართველოს ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში ფალავნობაზე (80 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) – დეკემბერი, ქ. თბილისი: I ადგილი.

ევროპის საკლუბო პირველობა "თბილისი – 2015" – დეკემბერი, ქ. თბილისი: I ადგილი (გუნდური).



მამულაშვილი კახა (დაბადებულია 1985 წლის 21 ოქტომბერს. სამბისტი.)

საერთაშორისო ტურნირი სამბოში – თებერვალი, ქ. ალმატი (ყაზახეთი): II ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი სამბოში – მაისი, ქ. ზაგრები (ხორვატია) – III ადგილი;

ევროპის ოლიმპიური თამაშები (პარალელურად გათამაშდა ევროპის ჩემპიონატი) – ივნისი, ქ. ბაქო (აზერბაიჯანი): III ადგილი (III ადგილი) სამბოში;

არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სამბოში – სექტემბერი, ქ. თბილისი: I ადგილი;

მსოფლიო თასის გათამაშება სამბოში – ოქტომბერი, ქ. მოსკოვი (რუსეთი) – II ადგილი;

მარქარიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სამბოში – ნოემბერი, ქ. არმავირი (რუსეთი) – II ადგილი;

საქართველოს ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში ფალავნობაზე (80 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) – დეკემბერი, ქ. თბილისი: III ადგილი.

ოდოშაშვილი ზვიადი (დაბადებულია 1989 წლის 29 ივლისს. სამბისტი.)

საერთაშორისო ტურნირი სამბოში – თებერვალი, ქ. ალმატი (ყაზახეთი): II ადგილი;

თამაზ გუგულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – მაისი, სოფ. მეტეხი: I ადგილი;

საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში – ივნისი, სოფ. შინდისი (გორი): III ადგილი;

ვანო გამხიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, სოფ. სამთავისი: I ადგილი;

რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, სოფ. კავთისხევი: I ადგილი;

გია ჯაფარიძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – ივლისი, ქ. ონი: II ადგილი;

იოსებ მაღალაშვილის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში – სექტემბერი, სოფ. მეტეხი: I ადგილი;

პაპინაშვილი ჯაბა (დაბადებულია 1998 წლის 27 აპრილს. სამბისტი.)

საქართველოს პირველობა სამბოში (ჭაბუკთა შორის) – მარტი, ქ. თბილისი: I ადგილი;

ევროპის ჩემპიონატი სამბოში (ჭაბუკთა შორის) – აპრილი, ქ. ნოვი-სადი (სერბეთი) – II ადგილი;

შოთა ხაბარელის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში – მაისი, ქ. ქარელი: II ადგილი;

მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში – ოქტომბერი, ქ. რიგა (ლატვია) – III ადგილი.

(შენიშვნა: მოჭიდავეთა გვარები გაწყობილია ანბანის მიხედვით).

მოამზადა ა. კალანდაძემ.

PS **გილოცავთ!**

კასპელმა სამბისტებმა წინასაახალწლო დღეებში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს - 23 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონატში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს დავით გეჯაძემ, ზვიად ოდოშაშვილმა და ბექა ბერძენიშვილმა; ხოლო კახა მამულაშვილმა - ბრინჯაოს მედალი ირგუნა.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?
გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეროსკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ხალხი ჯვნთიავლი" გახდით ჩვენი მკითხველი!

მკითხველს შეუძლია მოგვწოდოს შემეცნებითი-გასართობი მასალები, საინტერესო ადრესვორდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - ალბანეთი, ხალაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

ცაკანრთვილოს ბილოგოგთ ლა მეცნიერთთ თვიცყოვლი ბრთოყვშირიც ყანბეიც რვიონყლი ორგანიზაციიც ცხბყთ მუნიციბალიტეტიც ყვილა ცგანმანათლებლთ ლაწყებებს, ყვილაც, ვიცც ბვშვთა ცწავლა-ვლბრლაც ემცანყრება, გილოცავთ ლამლეგ 2016 წელს, გიცყრვებთ ბილნიერებას, ჯანმრთელობას, წარმატებებს ბირველ ცხოვრებასა ლა ცბოგვლოებრივ ცაკმიანობაში.

გიული ცობიაშვილი.

ჩვენს სყვარელ მეგობარს ამალია სულაძეს გულითადად ვულოცავთ შობა-ახალი წლის დღესასწაულს.

დე, ახალი 2016 წელი უფლიყოს სიყეთის და სიხარულის მომტანი.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას.

მეგობრები.

ნინელი ყაზარაშვილს ვულოცავთ სიუბილეი დანდების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს, ხვავსა და ბარაქას.

მარინა მენაბდიშვილი, დალი ხაჩიძე, ნანა მერებაშვილი.

„ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია...„

***დასასრული. დასაწყისი. იხ. გვ2.** გადმოცემულ სისხლში გამჯდარ პატიოსნებას რომ ახლავს... და იციან, გრძნობენ, არ ავიწყდებათ და ამაყობენ, რომ მიუხედავად ნებისმიერი ამინდისა "ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია." ... და მანამ, სანამ მარადისობას შეერთებია 2015 წელი, სანამ მის შეფასებაში დაღლილან პოლიტიკოსები თუ ეკონომისტები, სანამ სემესტრის შეფასება სკოლიდან სახლში მოუტანიათ ჩვენს შვილებს, სანამ საახალწლო სუფრისთვის ბაზარში წავსულვართ ... მადლობა მიმავალ წელს ყველა ახდენილი სურვილისათვის, ყველა სიკეთისთვის რაც იყო... (მოდით, დღეიდან ვცადოთ ცუდის დავიწყება!)

კიდევ ერთხელ, გილოცავთ ახალი 2016 წლის მობრძანებას! და ამ ახალ წელსაც ძველებურად დაბეჯითებით გვინდა ახდენილი იმედების წელი დაგვდგომოდეს, იყვნენ მშობლები ჯანმრთელნი, მეუღლეები ერთგულნი, შვილები საამაყონი და ყველამ ერთად ვიცხოვროთ

დამოუკიდებელ, თავისუფალ, გაბრწყინებულ, საფიცარ საქართველოში.

ნანა მერებაშვილი.

"კეხურა" გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ხსოვნა

გიორგი ზაქარიაშვილი

ჩვენო მონატრებულო და სიზმარივით გაფრენილო, ჩვენო დინჯო, ჭკვიანო და გულისხმიერო გიორგი, შვილო, როგორ ერთ დღეში დაგველია მომავლის ფიქრი და იმედი ...

ხუთი წელი გავიდა, ჩვენთვის კი ეს დრო საუკუნედ იქცა. 23 წელი შეგისრულდებოდა, ერთად ვიქნებოდით, გულში ჩაგიხუტებდით ...

ყოველი გათენება თქვენზე ლოცვით იწყება და თქვენთვის ლოცვით ღამდება. განსაცდელიც გაგვიგია და სატანჯველიც, მაგრამ ასეთი - ორი საფიცარი შვილის დაკარგვა ტრაგიკული შემთხვევის გამო ... და ამ ტკივილით ცხოვრება ყოველცისმარე.

ჩემო გიორგი, ვიცი ვერ მიატოვებდი და უყურადღებოდ ვერ დატოვებდი გიგას ... არ ვიცი სიტყვები, რომლებიც დაიტევენ თქვენზე ფიქრს, სევდას, მონატრებას...

თქვენი ბიძაშვილები იზა და გვანცა ძალიან ხშირად გიხსენებენ, გიხსენებენ გენო ბიძია და ქეთინო ბიცოლა, გოგი პაპას სულ ცრემლი აქვს თვალზე ...

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს თქვენი სული.

დოდო ბებო, პაპა, ბიძაშვილები.

თამაზ მოსიაშვილი

ერთი წელი გავიდა უშენოდ ჩემო საყვარელო შვილო, სიმწრისა და გოდების ერთი წელი. შენ ახლა ზეციური საქართველოს მკვიდრი ხარ. ალბათ უფლის ნება იყო შენი მიწიერი ცხოვრების ასეთი დასასრული, ამ წუთისოფელში ხომ ყველა ადამიანს თავისი ბედისწერა თუ ბედი აქვს. მშობლებისათვის კი შვილის დაკარგვა ყველაზე დიდი უბედურებაა ამქვეყნად. ამ დროს სიტყვები უძლურია, მწარე ტკივილს ვერაფრით გაანელებ.

ობლობისათვის გაწირე შენი სამი შვილი, უსაზღვროდ ენატრები ცოლ-შვილს, ძმას, მშობლებს. სიკეთით სავსე იყავი ჩემო ბიჭო და მჯერა ეს სიკეთე სასუფეველში მიგიყვანს, ჩემი ნანახი ყველა სიზმარიც ხომ ამას მოწმობს, ბედნიერი და კმაყოფილი სახით რომ მეჩვენები. მხოლოდ ეს ნუგეში თუ შეგვიმსუბუქებს განშორების მძიმე ტკივილს.

შენი გარდაცვალების წლისთავზე შეიკრიბებიან შენი ახლობლები, მეგობრები, გაგიხსენებენ, მოგიგონებენ უდროოდ წასულს. უშენოდ შევხვდებით ახალ წელს, შენი დაბადების დღეს, რომელიც ძალიან გიყვარდა.

ჩემო სიცოცხლე, ჩემო შვილო, ერთ დიდ ცრემლიან სიზმრად გადაიქცა ჩემი სიცოცხლე შენი წასვლის შემდეგ. დაგვრჩა მოგონებები, მხოლოდ მოგონებები.

"დრო ყველაფრის მკურნალიაო" – ამბობენ, მაგრამ ასეთ დიდ ტკივილს დრო ვერასოდეს განკურნავს. გვაკლიხარ, გვენატრები, არ გვინდა უშენობა დავიჯეროთ და კვლავ გელოდებით...

დაე, მსუბუქი იყოს შენთვის შენი ქვეყნის მშობლიური მიწა.

ოჯახი.

კასპის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მრევლი (მოძღვარი მამა გიორგი ხოჯავა) სამძიმარს უცხადებს ივლიტა კახიანს მეუღლის

გურამ თათრიშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76